პარასკევი 1918 წ. მარტის, 9—(21) № 45
წლიწადი მეორე

პარასკევი 1918 წ. მარტის, 9—(21) № 45

ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

საგაზეთო **მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში ა[illegible] უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

კ ა ნ ტ ო რ ა.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა, პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

შაბათს, 10 მარტს, დილის 9-ნახ. საათზე, ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

ლუცია იოსების ასულის კოკოჩაშვილის

სულის მოსახსენებლად. 1—6.

# განცხადება.

ქუთ. **ქალაქის სასურსათო გამგეობა** საყოველთაოთ აცხადებს, რომ **თებერვლის ულუფა** შაქრის გაყიდვა ქალაქის ყველა კოოპერაციაში დასრულდება **მარტის** 10-ს, ხოლო მარტის 11-დან **აწეულ ფასად** გაიყიდება **მარტის ულუფა.**

3—3

**მროვნულ დემოკრატიული პარტიის ქალების საყურადღებოდ.**

შაბათს, 10 მარტს, საღამოს 5 საათზე, წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში, ტრიფონ ჯაფარიძე წაიკითხავს ლექციას. აღნიშნულ პარტიის ქალებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

## საზავო მოლაპარაკება.

გაზეთებმა გადმოგვცეს ამიერ-კავკასიის სეიმისა და ოსმალეთის საზავო დელეგაციების წარმომადგენლების მისასალმებელი სიტყვების შინაარსი.

ოსმალეთის წარმომადგენლის სიტყვა ზრდილობიანი და თავაზიანია, მაგრამ იმავე დროს მასში ჩანს ეჭვი, ვაი თუ ამიერ-კავკასიას, როგორც არადამოუკიდებელ სახელმწიფოს, არა ჰქონდეს უფლება ვისთანმე ზავი შეჰკრას და საერთაშორისო ხელშეკრულობა დასდვასო.

ამიერ-კავკასიის სეიმის წარმომადგენელმა ა. ჩხენკელმა მიუგო: ამიერ-კავკასია ფაქტიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს იმისდა მიუხედავად, რომ ამის შესახებ დეკლარაცია არ გამოქვეყნებულაო.

მაგრამ, უეჭველია, ეს განცხადება ოსმალეთს სავსებით ვერ დააკმაყოფილებს, ვინაიდან ფაქტიური დამოუკიდებლობა შეიძლება დროებითი იყოს და, დრო რომ გაივლის, ვინ იცის, ეგებ ისევე დამოკიდებულებად გადიქცეს.

ოსმალეთი და გერმანია საბოლოოდ უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ რუსეთის შემოსევისაგან და მაშასადამე, თუ ამიერ-კავკასიის სეიმი რუსეთისაგან სრულ ჩამოშორებას გადაჭრით არ აღიარებს, მასთან ზავს არ შეკრავენ.

მეორე მხრით ამიერ-კავკასიასაც აქვს უფლება მოითხოვოს, რომ მისი დამოუკიდებლობა ზღვის კარის არ ჩაკეტვით უზრუნველ იყოს. და ოსმალეთმა თუ ბათუმი არ დასთმო, ცხადია, ამ გვარ სამარცხვინო ზავს ხელს ვერ მოვაწერთ.

მაშასადამე, ოსმალეთს თუ ზავი გულწრფელად სწადია, ბათუმი უთუოდ უნდა დასთმოს.

მეორე მხრით ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის მხარე ისე მჭიდროდ შეკავშირებულია, ბათუმთან, რომ აუცილებლად ამიერ-კავკასიის ფარგლებში უნდა მოექცეს.

ეს უნდა იცოდენ აჭარელ-მესხებმა და მაშასადამე უნდა დაემორჩილონ ისტორიულ აუცილებლობას!

იქნება თუ არა ზავი? დასთმობს თუ არა ოსმალეთი ბათუმსა და მის არემარეს? ძნელია წინასწარმეტყველება. ამის თქმა კი ახლავე შეიძლება: თუ გვწადია საპატიო ზავი, უნდა მოვიკრიბოთ ძალა.

მაშ შემოკრბით, ქართველებო, თქვენის ტურფა სამშობლოს დასაცავად, გამოდით ქუდზე კაცი!

ვასილ წერეთელი.

## მთავრობის შედგენა.

სეიმის თავმჯდომარემ კ. ჩხეიძემ ე. გეგეჭკორს ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენა დაავალა. მენშევიკებს ღრმადა სწამთ, რომ მომავალი ამიერ-კავკასიის მთავრობა გააერთიანებს მძლავრ დაშლის პროცესში ჩაბმულ ამიერ კავკასიას და მის ერებს ერთის მიმართულებით წაიყვანს.

გეგეჭკორი გაბედულ მებრძოლად ითვლება მენშევიკთა ბანაკში და დღეს მას მიანდვეს უძნელესი საქმე—ახალ მინისტრების დასახელება.

მთავრობის არჩევა არავითარ გასაჭირს არ წარმოადგენს. თათრები და სომხები მოურიგდებიან ქართველ მენშევიკებს, რადგან ამ საბედისწერო ჟამს მთელი ამიერ-კავკასიის პასუხის მგებლობას ქართველი მენშევიკები თავის თავზე ღებულობენ. თათრები და სომხები დათანხმდებიან, რომ მენშევიკებს მმართველობაში თვალსაჩინო ადგილი ჰქონდეთ-დათმობილი. ასეთი კომპრომისი თათრების და სომხების მხრით სრულიად შეეფერება მათ ამ დროულ სულის კვეთებას.

თათარ სომეხისთვის ამიერ-კავკასიის მთავრობა დეკორაცია იქნება, რადგან ისინი კარგა ხანია აღარ ემსახურებიან ამიერ-კავკასიის არ არსებულ დემოკრატიას და თავის ეროვნულ საბჭოების ბრძანებას მიყვებიან.

ამიერ-კავკასიის მმართველობას ადერბეიჯანისთვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ადერბეიჯანს სწადია დაცდა, სანამ გარემოება ხელს შეუწყობს, რათა მერე, ძალა მოკრებილმა, ეროვნულად დარაზმულმა უცებ გამოაშკარაოს თავის ფიზიონომია.

[illegible] სხვა მნიშვნელობა აქვს ამიერ კავკასიის მთავრობას სომხებისთვის.

სომხის ერი თავის დიდი ხნის სურვილმისწრაფებათა გაკოტრების და ღრმა უფსკრულის წინაშე სდგას.

უკანასკნელ დროს თავის ბედის გამოსაჭედათ სომხებმა იარაღს მიმართეს, სომხის ბურჟუაზიამ ფული უხვად დახარჯა [illegible] უმეხოლა. სომხის ლაშქარი ბრძოლის ველზე საშინლად მარცხდება, სომხებს წაართვეს არზრუმი და განდიდებული სომეხთა სახალხო გმირი სარდალი ანდრონიკი თბილისს მოაშურებს იმედ მიხდილი.

სომხებს ამ ჟამად არ აქვთ და ვერ ექნებათ გარკვეული პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ მათი კითხვა საერთაშორისო კითხვად იქცა და ხან ინგლისის პარლამენტში და ხან კიდევ ამერიკაში დეპუტატების კამათის საგნად გადაიქცა. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელობა სომხებისათვის მიუღებელია, რადგან ამ გზას ბოლოს ამიერ-კავკასიის ერთა ეროვნულ სახელმწიფოებად დაყოფისაკენ მივყევართ, სომხებისთვის კი დამოუკიდებელი არსებობა ამიერ-კავკასიაში, კიდეც რომ მიეზომოს მათ მთელი ის ტერიტორია, რომელზეც ისინი პრეტენზიებს აცხადებენ, მომაკვდინებელია, რადგან ეშინიათ ოსმალეთის საფრთხის და დასტირიან ოსმალეთის უსომხებო სომხეთს, რომელიც კვლავ ოტომანთა უღელ ქვეშ რჩება:

სომხები ვერ ბედავენ ამიერ-კავკასიაში საკუთარ სახელმწიფოს შექმნას მიუხედავად იმისა, რომ ჯარიც ჰყავთ და ფულიც აქვთ.

მაგრამ მოგეხსენებათ, მარტო ჯარზე და ფულზე, არ არის დამყარებული სახელმწიფოს დაარსება.

მას უნდა სათანადო განსაკუთრებული პირობები და ტრადიცია. სომხებს კი ეს აკლიათ.

ამიტომ ისინი, თუ დიდ ხანს არა, ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების გათავებამდის მაინც დარჩებიან ბურუსში და მერე კი იძულებული გახდებიან ერთ ერთ გზას დაადგენ.

ამიერ-კავკასიის „მთლიანობის“ დაცვა ქართველების ხარჯზე სომხებისათვის ხელსაყრელია, რადგან ისინი ამ მთლიანობის კალთებს თავს აფარებენ. ამიერ-კავკასიის მთავრობა სომხებისათვისაც ფიქციაა, სომხის ის დეპუტატები რომლებიც მთავრობაში შედიან წარმოდგენილი არიან სომხის ეროვნულ საბჭოში და სომხურ ერს დამოუკიდებლად წინამძღვრობენ.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში ქართველი ერი ვარდება.

მომავალი მთავრობის სრულ უფლებიანობა გავრცელდება მხოლოდ საქართველოზე, როგორც მაგალითად ამიერ-კავკასიის კომისარიატის.

ასეთ გარემოებაში ქართულ ინტერესზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ვიკითხოთ, იქნება თუ არა ასეთი მთავრობა ძლიერი და საყოველთაო ავტორიტეტული!

არასოდეს. მალე დავინახავთ, რომ ამიერ-კავკასიის მინისტრებს გოდოლის ამშენებლებსავით აებნევათ ენა. ამის ნიშნები უკვე 6 მარტიდან სჩანს, როდესაც მუსულმანები ქართველ მენშევიკებს უსაყვედურებდენ ცილის წამებისთვის, ხოლო სომეხნი ამით სარგებლობდენ და მუსულმანებს ებრძოდენ.

მთავრობა თუ შესდგა გეგეჭკორის პირით ჩვენ მალე კვლავ მოვისმენთ, რომ „მთავრობა ჰაერშია გამოკიდებული და ერთა ძალა იკრიბება ეროვნულ საბჭოების გარშემო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა-ეს უკანასკნელი ცდაა ამიერ კავკასიის ერთ მთლიან ერთეულად შეწეპებისა და ამ ცდის გაკოტრების შემდგომ უთოუოდ ბუნებრივის ეროვნულის გზით წავალთ.

მაგრამ ვინ არ იცის რომ დღევანდელ ყოყმანს, ბრუნდი გზით სიარულს, უკუღმართობას ხშირად მოყვება კატასტროფა, რომელიც არ იყო მოსალოდნელი.

ამიტომ ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენა ამიერ-კავკასიის გართულებულ მდგომარეობის უფრო გამწვავება და გართულებაა. ეროვნულ კითხვის გადაუჭრელად ამიერ კავკასია მუდამ აფორიაქებული იქნება და მას მთავრობათა სახელის შეცვლა ვერ უშველის.

როგორც წინად, დღესაც მთავრობაში ქართველი ერი ეროვნულად წარმოდგენილი არ იქნება, რაც სხვანაირად არ შეიძლებოდა.

ამიერ კავკასიის მთავრობა კომისარიატის გაგრძელება იქნება ოდნავის ცვლილებით..—ჩვენ ეროვნულ მთავრობასკენ ვისწრაფვით.

ირა.

## ბათუმის ფლოტის დაპყრობა.

**ლაპარაკი პირდაპირი მავთულით თბილისსა და ბათუმს შორის მარტის 5 ს.**

— აქ ნოე რამიშვილია. ვინ არის აპარატთან?

— გეგეჭკორი და გვარჯალაძე.

ნოე რამიშვილი: დღეს ჩვენ დავიპყრეთ სამხედრო ფლოტი. დემობილზაციის დეკრეტის გამოცემისა და მეზღვაურთა თავისუფლება დაქირავების შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილების გამოცემის შემდეგ მეზღვაურმა თავი მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს გემებს და რაკი საზღვაო ძალთა უფროსები არარ იყვნენ, საზღვაო საქმე საერთოდ შეჩდგა. დამხმარე კრეისერი „მეფე კარლოსი“, რომელმაც საზავო დელეგაცია წაიყვანა ტრაპიზონში, უკან დაბრუნდა და სევასტოპოლში დაბრუნება გადასწყვიტა. ამავე სხვა გემები. უფრო მეტი მოსალოდნელი იყო, რომ ამ ფლოტის გაყიდვას აპირებდნენ ჩვენს მტრებზე; ამ გარემოებამ გვაიძულა გადამწყვეტი ზომები მიგვეღო, დილის 6 საათზე სამხედრო ფლოტს გარს შემოვარტყით ჩვენი შეიარაღებული ძალები; ამავე დროს ავამოქმედეთ ბატარეები და მეზღვაურებს წინადადება მივეცით დაგვნებებოდნენ. დილის 9 საათზე ფლოტი უკვე ჩვენს ხელში იყო. ჩვენ მოგვიკლეს ერთი პრაპორშჩიკი ცაგარეილი; დაიჭრა 9 მეზღვაური, 300 მეზღვაური დატუსაღებულია. ერთმა ნაღმოსანმა მოახერხა გაქცევა და ზარბაზნის ყუმბარებით დავაზიანეთ. ჩვენს ხელში დარჩა დამხმარე კრეისერი „მეფე კაროლის, ერთი ნაღმოსანი, რამდენიმე გამანადგურებელი კატერები და შედარებით დიდი რიცხვი ტრანსპორტებისა, რომელთაგან ფლოტის ბევრს შეაიარაღებენ დახმარებითი სამსახურის გასაწევად. ფლოტის უფროსად უნდა დაინიშნოს უფროსი ლეიტენანტი მე 2 რანგის კაპიტანი ჭავჭავაძე, რომელიც თვითონ უწევდა ხელმძღვანელობას მთელ ოპერაციას და შესანიშნავი გამჭრიახობა გამოიჩინა, ამ გაბედულმა და მარჯვე საქმემ დიდი შთაბეჭდილება მოიხდინა, ფლოტს დაუყონებლივ გამოიყენებენ სამხედრო განკარგულება, რომ გამოგვიგზავნონ აქ მეზღვაურები და საზღვაო აფიცრები, პირველ რიგში არტილერისტები რიცხვით არა ნაკლებ 30 კაცისა, შეიძლება ხმელეთის ნაწილების არტილერისტების გამოგზავნაც. ცხენოსანთა სამთო ბატარეა უკვე მოვიდა, რასაც ხალხი ალტაცებით შეხვდა. კეთილ ინებეთ და გაეცით შესაფერი ბრძანება არტილერიის უფროსის პოლკოვნიკ მუსხელიშვილის და მის თანაშემწე პოდპოლკოვნიკ კოვალევსკის მიერ დიდი სამხედრო ღირსების გამოჩენის გამო. ჩვენ გადავწყვიტეთ ისინი წარვადგინოთ გენერლისა და პოლკოვნიკის ღირსებაზე.

მარტის 6 ბათუმიდან ციხის უფროსი ჭავჭავაძე იტყობინება: დილის 6 საათზე ბრძოლით აიღე კრეისერი „მეფე კარლოსი“, 2 ნაღმოსანი, 4 გამანადგურებელი და მთელი სატრანსპორტო ფლოტი. მოკლულია პრაპორჩიკი ცაგაეიშვილი, 6 კაცი მსუბუქადაა დაჭრილი.

**მთავრობის ცნობა**

კრეისერ „მეფე კარლოს“-მ რომელმაც ტრაპიზონში წაიყვანა საზავო დელეგაცია, ფლოტის ცენტრის ოვეღივე ბრძანების და პირობების წინააღმდეგ თავისი ნებით მიატოვა ტრაპეზონი და ამით დელეგაციას წაერთვა ერთად-ერთი საშუალება ურთიერთობა ჰქონოდა ამიერ-კავკასიასთან. კრეისერმა ქ ჩამოსვლისას გადასწყვიტა სრულიად წავიდეს ბათუმიდან და გავიდეს ზღვაში ყველა სხვა დანარჩენი გემები ზოგი წავიდა, ზოგი წასვლას აპირებდა, მიუხედავად ადგილობრივ მთავრობის წინადადებას, რომ ბათომში დარჩენილიყვნენ, რაშიაც დიდ ფულს ჰპირდებოდნენ, რათა ბათუმი და მისი ოლქი დაეცვათ. ჩვენ შევიტყვეთ, რომ უცხო სახელმწიფოთა ემისარები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მეზღვაურებთან, საზღვაო ქონებისა და გემებს გაყიდვის შესახებ დემოკრატიულ ორგანიზაციების დაუკითხავად. რადგანაც მოსალოდნელია რომ ბათომში და მის ოლქში სამხედრო მოქმედება დაიწყოს და დიდი საჭიროებაა მხარისათვის საზღვაო ძალებისა ციხის უფროსმა და რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ ბათომში მყოფი ყველა გემები, რაც უკვე იქნა მოყვანილი სისრულეში უმსხვერპლოდ ყველა ის მეზღვაურნი, რომელთაც სურთ ბათუმში დარჩენ, თავდაცვისათვის შეუძლიათ დარჩნენ, რაშიაც მიეცემათ ჯილდო, სხვები კი ყველა სამშობლოში იქნებიან გაგზავნილნი.

**მუსხელიშვილის დაჯილდოება.**

სამხედრო საზღვაო კომისარმა მარტის 6 გამოსცა შემდეგი ბრძანება: სამსახურში თავის გამოჩენისათვის, სამაგალითო განკარგულების მიცემისა, გამბედაობისა და მამაცობისათვის, რომელიც გამოიჩინეს შავი ზღვის სამხედრო ფლოტის შებოხებულ მეზღვაურთა იარაღის აყრის დროს ბათომში ციხის უფროს პოლკოვნიკ მუსხელიშვილს ეძლევა გენერალმაიორობა, მის თანაშემწეს პოდპოლკოვნიკ კოვალევსკის,—პოლკოვნიკობა, უფროს ლეიტენანტს ჭავჭავაძეს მე-2 რანგის კაპიტნობა და შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაპირის სამხედრო ძალთა უფროსად დანიშვნით.

# უცხოეთის ამბები.

მოვიდა ცნობები, რომ ქალაქი ნიკოლაევი დაიჭირეს. ავსტრო-ჰუნგრეთის ჯარებმა, ხოლო ქალ. როსტოვი უკრაინელებმა. მოლდავანკა გერმანელებმა დაიჭირეს.

—

ხმები დადის, რომ ვილჰელმი და ჰინდენბურგი ამ მოკლე ხანში პეტროგრადში ჩავლენ.

—

გერმანელებმა შესვლისთანავე სასტიკი წესრიგი დაამკვიდრეს პეტერბურგში. დახვრიტეს ყველა ხულიგნები.

——

გერმანელები აპირობენ, რომ პეტერბურგი დაპყრობილ ოლქებს—უკრაინას, პოლონეთს და კურლანდიას—შეუერთონ.

—

მოსკოვში დიდი ანტიბოლშევიკური დემონსტრაცია ხდება. ბოლშევიკები სახლის თავებიდან უშენენ დემონსტრანტებს ტყვიისმფრქვევლებიდან. ბევრ ადგილებზე სისხლის ღვრა მოხდა. ბოლშევიკური მმართველობა დიდს კრიზისს განიცდის. მათი ხელმძღვანელები გარბიან მოსკოვიდან.

—

კიევსა და პეტერბურგს შუა გერმანელებმა ტელეგრაფი აღადგინეს. მოსკოვში კიევიდან მიდის პეტერბურგის ცნობები.

—

პოლიტიკენ კორესპონდენტი ციურიხიდან დეპეშით იტყობინება: გერმანელებს ინგლის-საფრანგეთის ფლოტის გარღვევა ახლად გამოგონილ ცისფერ გაზის საშვალებით განუზრახავთ. მათ ხსენებული გაზი უკვე უცდიათ იტალიის ფრონტზე. გაზის წინააღმდეგ ქარი ვერ მოქმედობს.

—

გერმანელებმა ოდესის დაჭერისთანავე წინადადება მისცეს შავი ზღვის ფლოტს, რომ იარაღი აეყარა. რა პასუხი გასცა ფლოტმა, არ ვიცით. ფლოტის ერთ ნაწილს განუზრახავს სევასტოპოლიდან ბათუმში წამოსვლა რათა ამიერ კავკასიის მთავრობას დაემორჩილოს.

—

ოდესაში გერმანელებმა შემოიღეს ფორმა, „პოგონები“ დააჭირეს ყველა სამხედრო პირებს და საჯარიმოდ გადაიღეს სამხედრო სალამის მიცემა საღვთოზე 11 ბოლშევიკი ჯარისკაცი დახვრიტეს.

—

პსკოვის აღების შემდეგ გერმანელებს რუს-ოფიცრების დელეგაცია წარუდგა რომელთაც გერმანელებს განუცხადეს. რომ ბოლშევიკებთან ბრძოლა ჩვენი საქმე არისო, თქვენ კი იარაღი დაჰყარეთო, თუმცა თავისუფლებას არ მოგაკლებთო. რუს ოფიცრებმა კრების ნებართვა ითხოვეს, რაზედაც გერმანელებმა მოკლედ მოჰრეს: „კრება ზედმეტიაო.“

—

წითელ გვარდიელებმა მოჰკლეს ღენერალი იანუშკევიჩი რომელიც პეტრე პავლეს ციხეში დასამწყდევად მიჰყავდათ.

—

ყირიმის თათართა რესპუბლიკის პრეზიდენტად ამოირჩიეს მუფტი ჩელები.

—

ესტონეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გერმანელები არა როგორც მტრები, არამედ როგორც მეგობრები შევიდნენ რეველში:

—

თანახმად მოსკოვში გავრცელებულ ხმებისა, იაპონია რუსეთთან საომრად ემზადება.

—

ბოლშევიკებმა ღენ. ალექსეევი კანონს გარეშე გამოაცხადეს.

—

კრაკოვში ებრაელები დაარბიეს. დაუნდობლად დახოცეს ბავში, ქალი და მოხუცი. აიკლეს სახლები და დაუქნები. იქაურ პოლიციას უარი განუცხადებია ებრაელთა დაცვაზე.

—

ბაღდადი დაიპყრეს ავსტრო გერმანულმა და ოსმალეთის ჯარებმა. ინგლისელები უკან იხევენ, რომელთაც გამარჯვებულნი ფეხ-დაფეხ მიდევენ აღესელები სიხარულით შეეგებენ გერმანელების შემოსვლას.

---

წელიწადი პირველი. № 3.

# „ოჩერედი“

„ბევრჯერ სიცილი ცრემლზე უფრო მწარეა“.

სალიტერატურო, საპოლიტიკო, საოხუნჯო, სამეცნიერო და საზოგადოთ ყოველგვარ დარგთა და მიმართულებათა გაზეთი.

გამოვა ყოველ დღე, როცა კი რედაქტორი მოიცლის, „ოჩერედში“ პურის და ხორცის, საკაზმ, სასმელ-ტანისამოსის და ფეხსაცმელის ყიდვის შემდეგ; ან და, როცა სასურსათო კომიტეტიდან დაბრუნდება და კაი გუნებაზე იქნება.

ფასი გაზეთისა ყველასათვის ხელსაყრელია. იგი „ჩვენი ქვეყნის“ ქვედა სართულის მდგმურია და ამ გაზეთის თუ კითხულობთ, ყოველთვის შეგიძლიათ „ოჩერედის“ წაკითხვაც.

ქ. **ქუთაისი.**

„ჩვენო კარგო ქვეყანა,
რაზე მოგიწყენია!?
ძველი თუ არა გწყალობს,
ახალი ხომ შენია!
მათ ახალთ აღიდგინონ,
შენ—„დიდების დღენია!“

კვნესის სამშობლოს დაკოდილი გული! სისხლის მორევში სცურავს მთელი საქართველო! სულს ღაფავს ის ნორჩი სტუმარი, ქუჩუჩა თავისუფლება, რომელიც ასე დაუპატიჟებლათ გვესტუმრა, რამდენიხანია კარზე გვადგია და ჩვენ დღემდის კიდევ მისთვის კარი არ გაგვიღია, გულში არ ჩაგვიკრავს, სულში არ ჩაგვიძვრენია!.. მშობლიურის გრძნობით არ გაგვითბია!..

ჯერ კიდევ ერთმანეთს ვწიწკნით, ვერ შევრიგებულვართ, ვერ გაგვიბედია, ამ ნორჩს არსებას კარი გაუღოთ და გარეთ, ამ სასტიკ ზამთრის ყინვებში, ნუ ვაყურყუტებთ!!

ყველამ გაიღვიძა. ყველა, ჩვენსავით დატანჯულ პატარა, ერში, იფეთქა სამშობლოს დიადმა სიყვარულმა. *) ყველას გული აათამაშა სამშობლოს დღევანდელმა მომენტმა.

ჩვენ? ჩვენ ქართველებს რაღა ღმერთი გვიწყრება?.

რამ შეგვაძულა ასე ჩვენი ტურფა ქვეყანა.

რამ გაყინა ჩვენი მშობლიური გრძნობები?!

ნუ თუ ჩვენს გარდა სხვა ერებს არავის გამოუცლია მონობის ხანა?

გავიხედ-გამოვიხედოთ ჩვენს გარშემო!

დავუკვირდეთ სხვების ცხოვრებას! წავბაძოთ მაინც სხვების, თუ ჩვენ—ჩვენი საკუთარი ინიციატივობის ნიჭი, უნარი არ შეგვწევს.

მაშ, აღსდეგ გმირთ გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია!

აღსდეგ, გაიღვიძე, თორემ ძვირფასს სტუმარს როგორც მოსვლა არ უკითხავს ჩვენთვის, ისე არც წასვლას დაგვეკითხება.

შემდეგ თითებზე კბენა და წუწუნი არას გვიშველის.

მაშ აღსდეგ, ქართველო!

მრავალ ტანჯულ და დაკოდილ სამშობლოს გვერდში ამოუდექ და მის კვნესა გოდებას შეუერთე შენი ვაჟ-კაცური გულის ნადებიც.

**ახალი ამბები თუ, ეს მართალია.**

ნამდვილ წყაროებიდგან შევიტყვეთ, რომ რადგან ქალაქის ქუჩების ძლიერმა განათებამ ხელი შეუწყო ძარცვა-გლეჯას, ბრძანება გამოსულა: ფარნები მხოლოთ დღით, დილის რვა საათიდგან, აინთოს, ღამ-ღამობით კი ყველა ქუჩები, ძველებურათვე, ბნელით იყოს მოცული.

თუ ეს მართალი გამოდგა. დღეიდან ქუჩებში ველარავინ გაგვძარცვას, რადგან სიბნელის გამო ან ველარ დაგვინახავს და ან დამალვა უფრო ადვილი იქნება.

✦ ჩვენ გვწერენ, რომ ქალაქის თვითმმართველობის ერთ-ერთ კრებაზე. თავმჯდომარეს მიუმართავს ქალაქის სახლების პატრონებისათვის, სხვათა შორის, შემდეგის სიტყვებით: „თუ არსებულ წესებს ასე დაემორჩილებით, მაშინ იძულებული ვიქნებით, ეს უძრავი მამულები ყველას წავართვათო“!

ამ სიტყვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია კრებაზე.

ქალაქის მემამულეები აღტაცებით მიგებებიან ამ ახალ სოციალისტს.

ზოგს, ნამეტანის აღტაცებით და სიხარულით ცრემლებიც კი გადმოცვენია და ერთხმათ დაუდგენიათ: ამ გვარ გრძნობიერ და გონიერ სიტყვისათვის ხონჩით, ფეშ-ქაშად, მივართვათ, ხვალვე, ყველამ ჩვენ-ჩვენი ორ-სამ სართულიანი სახლებით.

თუ ეს მართალია სარევოლუციო სიტყვათა კონას ერთი ახალი ტერმინი შეკიდევ, შეემატება.

დღემდის ვიცოდით, იყო სიტყვები: რეკვიზიცია, ნაციონალიზაცია, მუნიციპალიზაცია, დღეს კი შეგვემატება ახალი სიტყვა წართმევიზაცია!...

—

✦ ჩვენ შევიტყვეთ, რომ სასურსათო კომიტეტს, ხმის უმეტესობით, ერთ-ერთ თავის სხდომაზე, საბოლოოთ გადუწყვეტია:

რადგან ამ ზამთარში დიდი სიცივეებია და გარე წვიმა-თოვლის დროს „ოჩერედში“ დგომა ხალხისათვის მავნებელია-დაუყონებლივ მიუშენდეს ყველა კოოპერატიულ მაღაზიას წინ სრული, თბილი და სინათლიანი დიდი დერეფნები.

თუ ეს მართალია მაშინ სულ დავიღუპებით. შინ ღერი შეშა არ გაგვაჩნია.

ჩვენი ცოლები თუ დღემდის ერთი გირვანქა პურისათვის დილიდან დაწყებული შუაღამემდის გარეთ იდგენ და გაცივებული კანკალებდენ, დღეს თბილ დერეფნებს ვიღა მოაშორებს მათ?!

როდის არის კაცი ბედნიერი?

—

– როცა ბანკის ვალიდან დაგირავებულ მამულს გაანთავისუფლებს.

— როცა ჩვენ სასურსათო კომიტეტებთან საქმე აღარ ექნება.

— როცა ორ ადგილას ჯამაგირი ეძლევა და სასურსათო კომიტეტში კიდევ მესამე ადგილს, შესაფერ ჯამაგირიანს ლებულობს.

**წერილი რედაქტორთან.**

ამხანაგო რედაქტორო!

ახალი თავისუფალი მოქალაქე გახლავარ. ღარიბი კაცი, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი. დღემდის ორივე ცოლ-ქმარი საკუთარის შრომით ვირჩენდით თავს და

*) ჩვენმა გაზეთმა ცოტა დაიგვიანა, მაგრამ ამის მიზეზიც სწორეთ ის წყეული „ოჩერედი“ გახლდათ, რომელსაც ის უცდიდა დღემდის გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქტორის პორთფელში.

„ოჩერედის“ რედაქცია.

# ამიერ-კავკასიის ცხოვრებიდან.

**ყარსის გუბერნიაში.**

მდგომარეობა მეტად კრიტიკულია, ბრბოები ათასობით სისტემატიურად სძარცვავენ და ჰყრიან იარაღს ქრისტიან მცხოვრებთ. არტაანის გარშემო მოსახლე გლეხობა აქეთ მოისწრაფვის. მცველი რაზმი რომ იყოს, შესაძლებელი იქნებოდა ევაკუაცია.

**მობილიზაცია 32 წლამდე.**

სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ ამ დღეებში გამოვა ბრძანება 25-32 წლიან ახალგაზრდების ჯარში გაწვევის შესახებ.

**ქურთ-თათრების მოძრაობა.**

ამიერ-კავკასიის კომისარიატს შემდეგს ატყობინებენ ყარსის ოლქიდან: ქურთებისა და თათრების მოძრაობა მსხვილ ორგანიზაციულ სამხედრო ოპერაციების ხასიათს ღებულობს. მერდენეკი და არტაანი გარშემორტყმულია მუსულმანთაგან. ბრძოლა გაჩაღდა. შესწყდა ტელეგრაფის მავთული ყარსსა, არტანასა და ოლთისს შორის. გადასწყდა, ყარსის ოლქში სამხედრო წესები გამოცხადდეს და მთელი ძალა-უფლება სამხედრო პირებს გადაეცეს.

**ოსმალეთის საზავო დელეგაციის შემადგენლობა.**

1. ჰუსეინ რაუჰ-ბეი. პირველ რანგის კაპიტანი, იმპერატორის საზღვაო დეპარტამენტის შტაბის უფროსი—პირველი დელეგატი (თავმჯდომარე).

2. მემედ-ნუხრედ ბეი საგარეო საქმეთა სამინისტროს იური კონსულების გამგე.

3. ექიმი თეფიკ-სალიმ ბეი პოლკოვნიკი, კავკასიის ფრონტის ოსმალთა ლაშქრის მთავარი ექიმი.

4. ხუზურეფ-ბეი მთავარ შტაბის მაიორი კავკასიის ფრონტის ოსმალთა ლაშქრის ოპერატიულ განყოფილების უფროსი.

5. იუზუფ-რიზა-ბეი · თადარიგის მაიორი.

6. იზმაილ-გაბი-ბეი — პირველი მდივანი სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი.

7. ჰამად-ბეი --ოსმალეთის საიმპერატორო ფლოტის 1 კლასის კაპიტანი, მდივანი.

8. ლეიტენანტი აბდუ-რახმანი. თავმჯდომარის ადიუტანტი.

# ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენა.

სეიმის ფრაქციებში ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს ახლი მთავრობის შედგენის შესახებ. ფრაქციების შორის მოლაპარაკებამ ჯერჯერობით გამოარკვია, რომ ახალ კაბინეტში პირველ მინისტრად იქნება ევ. გეგეჭკორი. ამბობენ ცალკე პორტფელი მას არ ექნებაო.

კაბინეტში დანიშნულ უნდა იქმნეს 5 მინისტრი მენშევიკებისაგნ,—4 „მუსავატი“-საგან, 3 დაშნაკცაკანებისაგან და 2—ესერებისაგან.

შესაძლებელია თითო ადგილი კაბინეთში მისცენ კიდევ მაჰმადიანთა სოციალისტურ ბლოკს და „იტტი ჰატა„-ს.

ხმებია, რომ სასურსათო საქმეების მინისტრად იქნება ა. ი. ხატისოვი, ხოლო ა. ი. ჩხენკელი კი შრომის მინისტრის პორტფელს ჩაიბარებს.

ვლ. პ. გობეჩია ისევ სამხედრო-საზღვაო მინისტრად დარჩება.

ამბობენ გობეჩია კაბინეტში შევა არა ესერების პარტიიდან არამედ როგორც პარტიის გარეშე მყოფი.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საგუბერნიო კომიტეტის სამხედრო სექციისაგან.**

ვაცხადებ ძალა მოკლებულად და გაბათილებულად ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის საგუბერნიო კომიტეტის მიერ გაცემულ მოწმობებს იარაღის ტარების შესახებ, რომლებზეც მე ხელი არ მიწერია.

სამხედრო სექციის თავმჯდომარე:

ალ. თორაძე.

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**ბრძოლა ახალციხეში.** გუბერნიის კომისარს ახალციხიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ახალციხეში თათრებთან უკვე ბრძოლა გამართულა. თხოულობენ, რომ გამაგრებულ იქმნას ზეკარი.

✦ **კრედიტი.** ამიერ-კავკასიის მთავრობის განკარგულებით სამაზრო კომისარიატების მილიციელთა დასაკმაყოფილებლად გაეხსნათ შემდეგი კრედიტი:—ქუთაისის მაზრას—68,733 მ. და 53 კ., შორაპნის მაზრას—61,666 მ.—67 კ., რაჭის მაზ. 28,300 მ. ლეჩხუმის მაზ.—44,833 მ. 33 კ., სენაკის მაზ.—63,333 მ 33 კ., ზუგდიდის მაზ.—57,800 მან. ოზურგეთის მაზ.—72,666 მ. 67 კაპ. და ფოთის სახალხო მილიციას—12,407 მ.

✦ **ღვინით ვაჭრობისათვის.** ქუთაისის პურღვინით მოვაჭრეთა მიერ არჩეულ კომისიამ შუამდგომლობა აღძრა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წინაშე, გუბერნიის კომისრის, მილიციის უფროსის და ქალაქის თვითმმართველობის წინაშე, რომ ნება მიეცესთ ქუთაისში პურღვინით მოვაჭრეებს ღვინის გაყიდვისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ პურის ჭამის დროს თითო სულს მიეცეს მხოლოდ ნახევარი ბოთლი ღვინო. ამის თვალყურის სადევნებლად კაცების დაქირავებს, ტრახტირების პატრონები თვითონ კისრულობენ. მეთვალყურეები მილიციის კონტროლის ქვეშ იქნება. ამ კითხვის გადასაწყვეტად გუშინ საღამოთი დანიშნული იყო შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და მუშათა საბჭოსი, რომელსაც დაესწრებოდა გუბერნიის კომისარი და მილიციის უფროსი.

✦ **დაჭრა.** ქ. ზუგდიდში კირილე კუტუროვმა დაჭრა იოსებ ჩხეიძე.

✦ **ს. ცაგარლის ჩამოსვენება.** გუშინ 8 მარტს, ბათუმიდან ქუთაისში ჩამოასვენეს პრაპ. ს. ცაგარლის გვამი, რომელიც მოკლულ იქმნა მატროსებისა და გარნიზონის ნაწილების შეტაკების დროს. სადგურთან მიცვალებულს დიდძალი საზოგადოება შეხვდა. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

✦ **ღენ. ვასილ გაბაშვილი და ნოე ჟორდანია** ბათომიდან თბილისში დაბრუნდენ.

✦ **კრილენკო.** რუსის ჯარების მთავარსარდალი პრაპ. კრილენკო ბოლშევიკურმა მთავრობამ გადააყენა.

✦ **მასწავლ დადგენილება.** ზუგდიდის მასწავლებელთა ყრილობამ გადასწყვიტა, რომ სკოლები დაიხუროს და თვით მასწავლებელნი, ჯამაგირისა და ადგილის შენარჩუნებით, გაგზავნილ იქნას სამშობლოს დასაცავად, სამხედრო სამსახურში.

✦ **მარტს 11**-ს საქართვ. ეკლესიის თავისუფლების აღსანიშნავად გამოვა საგანგებო ჟურნალი „სვეტი ცხოველი“ ერთ ნუმრად.

✦ **„ვოზროჟდენიე“ს დახურვის გამო.** გაზეთი „საქართველო“ში შემდეგი განცხადდა „ვოზროჟდენიე“ს რედაქციამ:

გაზეთ „ვოზროჟდენიეს“ რედაქცია ამით აცნობებს თავის მკითხველებს, რომ 6 მარტს, დღის ორ საათზედ მოულოდნელად მოვიდენ რედაქციაში მილიციის უფროსი და მილიციონერები და წარმოგვიდგინეს ამიერ-კავკასიის კომისარიატის ქაღალდი, რომ თანახმად კომისარიატის თავმჯდომარის ბრძანებისა. გაზ. „ვოზროჟდენიე“ დახურულია და კანტორა და რედაქციაც დაჰბეჭდეს.

გაზეთი „ვოზროჟდენიე“ გამოდიოდა 1905 წლიდან და ამ ხნის განმავლობაში ძველი მთავრობისაგან დახურული იყო ოცდა თოთხმეტჯერ, მაგრამ იმ რეაქციისა და თვითნებობის შავ დღეებშიც კი რედაქციას არ ახსოვს ისეთი შემთხვევა, როდესაც ყოველივე მიზეზის განუმარტებლად და მოულოდნელად დაეკეტათ გაზეთი და დაებეჭდათ რედაქციისა და კანტორის ბინა, როგორც მოიქცენ ამ ჟამად.

ამის გამო რედაქცია იძულებული არის შეასრულოს თავის მოვალეობა ხელის მომწერლებისა და მკითხველთა წინაშე, მაგრამ ეცდება დააკმაყოფილოს ისინი, როგორც დადგება უფრო შესაფერი პირობები.

გაზეთის თანამშრომელთ და ასოთ ამწყობთ რედაქცია იწვევს მიიღონ ხვედრი ანგარიში გაზეთი ჩვენდა უნებურად დაკეტვის დღემდის.

**გაზ „ვოზროჟდენიის“ რედაქცია.**

✦ **ბათუმის დაცლა.** ბათუმიდან საერთო კავშირის აგენტი ბეილენი ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებს, რომ რადგანაც ბათომს საფრთხე მოელის, ციხის სადემობილიზაციო კომისიამ ყველა დაწესებულებებს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ [illegible] ქონების გაზიდვა ბათომიდან სამტრედიაში და ქუთაისში. ვაგონების საკმაო რიცხვის უქონლობის გამო ქონების [illegible] გამოზიდვა [illegible]რძალულია. ციხის რაიონში საალყო წესები გამოცხადდა და ძალა-უფლება გადაეცა ციხის უფროსს, რომელმაც ყოველივე დავალებანი ევაკუაციის შესახებ გადასცა ციხის სადემობილიზაციო კომისიას.

✦ **60 ათასი ვინტოვკა.** ბათომიდან ცნობები მოვიდა, რომ დატყვევებულ კრეისრებიდან 60 ათასი ვინტოვკა ჩაიგდო ხელში ამიერ-კავკასიის მთავრობამ.

✦ **ოსმალები** სარაყამშს უახლოვდებიან. მათ დაიჭირეს ჩვენი მოწინავე პოსტები და აიღეს ლიმანი და სულთან-სელიმი. მათ აიღეს აგრეთვე სოფ. სელიმი და სხვა პუნქტები.

✦ **ქალაქის საბჭოს კრება.** 7 მარტს შესდგა ქალაქის საბჭოს კრება. კრებაზე გაირჩა რამდენიმე საქმე. სხვათაშორის საბჭოს უნდა გაერჩია მოხსენება გამგეობისა სხვადასხვა გადასახადების გაწერის შესახებ, მაგრამ რადგანაც კრება გვიან დაიწყო, ეს კითხვა შემდეგი კრებისათვის გადაიდო.

✦ **ლეჩხუმის მაზრის კანონ გარეშე გამოცხადების გამო.** რამდენიმე ხმოსანმა 7 მარტს ქალაქის საბჭოს კრებაზე განცხადება შეიტან, ეს რომ საბჭოს განეხილა საკითხი ლეჩხუმის მაზრის კანონს გარეშე გამოცხადების გამო. ეს კითხვა შემდეგ კრებაზე იქმნება გარჩეული.

✦ **საფუთო გადასახადის შემოღება.** ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, რომ შემოღებულ იქმნეს ქუთაისში და ქუთაისიდან გაზიდული-შემოზიდულ საქონელზე საფუთო გადასახადი. საქონელი, რომელსაც უნდა დაედვას გადასახადი გაყოფილია 4 კატეგორიად. პირველი კატეგორიის გადასახადი ფუთზე იქნება 2 კაპ. მეორესი 1-ნახ. კაპ. მესამესი კაპიკი და მეოთხესი ნახ. კაპ., წლიურად საფუთო გადასადისაგან ქალაქს შემოუა 44620 მანეთი. რაც ქუჩების გაკეთებას უნდა მოხმარდეს. საბჭომ გარდა ამისა დაადგინა: იქნეს აღძრული შუამდგომლობა, რომ საფუთო გადასახადი ერთი წლის განმავლობაში გადიდებულ იქნეს ხუთჯერ.

✦ **ღენერალ ვას. გაბაშვილი.** საქართველოს ლაშქრის მთავარ სარდალს, ბათომში მყოფი ქართველი ჯარები დიდის აღფრთოვანებით შეხვედრიან. ძველ მეომართ, რომელნიც კარგად იცნობენ ვაბაშვილს განუცხადებიათ, რომ ყოველივე განკარგულება ღენერალ გაბაშვილისა ჩვენთვის გადაუვალი კანონი იქნება და ჩვენ სიცოცხლეს შევსწირავთ სამშობლოს თავდაცვასო. (ჩ. რ.)

✦ **ქალაქის ვალი.** დღემდის ქალაქ ქუთაისის ვალი უდრის 950,000 მანეთი.

✦ **მილიცის დაკმაყოფილება.** 7 მარტს ქალაქის თვითმართველობამ დააკმაყოფილა მილიციელები და მათი ჯამაგირებისათვის გაიღო 75,000 მანეთი

✦ **მობილიზაცია.** გუშინწინ სამობილიზაციო პუნქტზე გამოხადებულა 400-მდე ახალგაზდა, რომელთაგან მხოლოდ 150 შეამოწმეს. დანარჩენების შემოწმება შემდეგი დღეებისათვის გადაიდო.

✦ **საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტში.** დღეს, 9 მარტს მოხდება საგუბერნიო აღმასრულებლი კომიტეტის კრება. გასარჩევია საყურადღებო კითხვები.

✦ **ჯარში წასული მოწაფეები.** ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მშობელთა წრემ მარტის 2-ს დაადგინა, სთხვს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, მოახდინოს განკარგულება, რომ ის მოწაფეები, რომლებთაც ჯერ არ უწევთ ჯარში გაწვევა, მაგრამ ჯარში შევიდნენ მშობლების ნება-დაურთველად, დააბრუნონ უკან და შემდეგში აღარ მიიღონ.

---

ვარჩენდით წვრილ შვილებს. ბავშვები პატარეები გვყანან.

ხშირათ, ჩემდა საუბედუროთ, მე არ მეცალა და ცოლს ვგზავნიდი „ოჩერედში„ ჩასადგომათ. პირველათ ძლიერ უარზე იდგა, „ოჩერედში“ რავა ჩავდგებიო, და ინათებდა თუ არა ზეზე იყო, უკვე ჩაცმულ მოკაზმული და „ოჩერედში“ მიდიოდა. მე პურის „ოჩერედში“ ვაგზავნიდი, თვითონ კი რომელ ოჩერედში დადიოდა არ ვიცოდი. ეს მერე, ძლიერ გვიან გავიგე.

ხშირათ უპუროთაც დამტოვა ხოლმე, მაგრამ რა უნდა მეთქვა, პური აღარ იყოვო, მეტყოდა და მეც უნდა დამეჯერებია.

თუმცა ეჭვები კი შემეპარა ამ ოჩერედში სიარულში, მაგრამ რას ვიზამდი. ვითმენდი. ყოლაფერს ჩემსავე გულში ვიკლავდი.

ახლა სულ დავიღუპე.

გუშინ დილიდან ოჯახიდგან გადმოსული დღესაც არსად სჩანს.

არც ქალია და არც პური.

ვიკითხე „ოჩერედში“, მითხრეს—დღეს აქ შენი ცოლი არვისაც არ გვინახავსო.

ახლა გთხოვთ თქვენის პატივცემული გაზეთ „ოჩერედის“ უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება:

დამეკარგა ცოლი. ტანათ მორჩილი, მაგრამ შეხედულობით კი კოპწია-ეშხიანი.

სამი ნაშვილებია, მაგრამ ყოველთვის კოპწია იყო და შვილოსნობა არ ეტყობა.

ორი ცალი შავი მაყვალივით ნაწნავები წელზე აყრია.

პასპორტი არ აქვს, მაგრამ ყველა ჩემს სახლზე აღებული სასურსათო კომიტეტის კარტოჩკები ჯიბეში უწყვია.

უცოლოთ სიცოცხლე შემიძლია და უკარტოჩკებოდ ჩემი სიცოცხლე კი წარმოუდგენელია. მნახველს ვსთხოვ თუ მაინც ცოლს ვერ დამიბრუნებენ უკან, მას ჰყავდეს იგი, ოღონდ ეს სასურსათო კომიტეტის კარტოჩკები დამიბრუნოს, რადგან ცოლის შოვნა ათჯერ უფრო ადვილია ამ ჟამათ ყველასათვის, ვიდრე სასურსათო კარტოჩკების შემოწმება და მიღება.

თავისუფალი მოქალაქე.

* *
*

ახლა ვინ არ იცის
სიტყვა „ოჩერედი“?!
ოჩერედმა ყველას
თავს დაასხა რეტი!
საცა მივალ ყველგან
გაბაწრულა კუდი,
მთელი აღარ შემრჩა
ჩოხა, წაღა, ქუდი.

* *
*

მომსპო „ოჩერედმა“
ადამიანს ვგავარ?!
ცოლის ოთახშიდაც
ოჩერედში ვდგავარ!.. *)

**შეკითხვა ჟურ. „აისს“.**

გეთაყვანეთ შეგვისრულეთ
ეს, თქვენდამი „თხოვნაუ:“
რით ჯობია ქართველ ნიკას
იტალიური „კოლლუაუ“?!

შეკითხველი.

რედაქტორ გამომცემელი.

**თეოფილე ხუსკივაძე.**

*) ეს ლექსი ავტორმა თეატრში წაიკითხა.
რედაქცია.

◆ **საზოგადოების საყურადღებოთ.** ვინაიდან ქუთაისის პირველ კერძო სამკურნალოთ დირექციამ არ მოისურვა დაეკმაყოფილებინა მოსამსახურეთა მეტისმეტათ მინიმალური და აუცილებელი მოთხოვნილება, ამიტომ აღნიშნულ სამკურნალოში, 7 მარტიდან გამოცხადებულია საერთო გაფიცვა მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილებამდის. რომ სამკურნალოში მწოლიარე ავათმყოფებს საშუალება ექნეთ — და ჩქარებლივ და უვნებლად გამოეწერონ სამკურნალოდან და ფართე საზოგადოებაც წინდაწინვე გაეცნოს აღნიშნულ სამკულნალოში მოსალოდნელ მუშაობის შეწყვეტას, ამიტომ გაფიცვა ფაქტიურად განხორციელდება 15 მარტიდგან, მანამდე კი მოსამსახურენი ჩვეულებრივად განაგრძობენ მწოლიარე ავათმყოფთა მოვლას და უეცარ შემთხვევებში დროს პირველ დახმარების აღმოჩენას. გაფიცულთა ადგილები ბოიკოტ ქვეშ არის გამოცხადებული. ქუთაისის მუშათა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ საბჭოს სეკრეტარიატი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**სამხედრო და საზღვაო სამინისტროს საქმეთა კომისრისა.**

№ 19. მარტის 6.

ბათუმის ციხის წითელ გვარდიელნო, ჯარისკაცებო და ოფიცრებო!

ესაა ეხლა შევიტყვე თქვენი საქმენი საგმირონი. შევიტყვე, რომ თქვენ იარაღი აჰყარეთ მეამბოხე გემებს და აჯანყებულები დაატუსაღეთ. ამ ამბავმა უსაზღვრო სიხარული მოგვგვინა.

დიდება თქვენდა! თქვენ ბოლო მოუღეთ დიდ საშინელებას და სირცხვილს. მეზღვაურთა ერთი ნაწილი, ეს ,,იდეურ" ხელმძღვანელთა ქადაგით გამოტვინებული ბრბო შიშის ზარს სცემდა მთელ შავ ზღვის სანაპიროებს!

მათ დახვრიტეს თავიანთი ოფიცრები და ცარცვა-გლეჯას და ძალადობას მოჰყვეს ხელი.

მათში ჩაკლული იყო ყოველივე ადამიანური გრძნობები და გამხეცებულები იქამდის მივიდნენ, რომ ჯავშნოსან „მეფე კარლოსის" კომანდამ გემის საკვამლეში დასწვეს ოფიცერი ემუხვარი. პატივის და სინდის დაკარგულებმა განიზრახეს სამხედრო გემების მტრებზე გაყიდვა.

თქვენმა სიმხნევემ, სიმამაცემ და ვაჟკაცობამ საუკუნოებს ჩააბარა ძველი მეფის ლაშქარი, რომელიც სამხედრო დისციპლინის ბასრ ბრჭყალებში იზრდებოდა თვითმპყრობელის და მის მოახლეთა სამოსამსახუროდ. თქვენ, ბათუმის ციხის წითელ-გვარდიელებო და ჯარის კაცებო, თქვენის მოქმედებით დაგვიმტკიცეთ, რომ შესაძლოა სასწაულის მოხდენა, თუ ლაშქარს ღრმადა აქვს სამშობლოსა და რევოლუციის წინაშე თავის მოვალეობის შეგნება. თქვენი მოვალეობის შეგნება დიდ უფსკრულს სთხრის თქვენსა და ყოფილ მეფის მონის მხედართა შორის. თავისუფალი ჯარის კაცი მოქალაქე რევოლუციის მტკიცე დასაყრდნობელი უნდა შეიქმნეს. თქვენ ვინც მჭიდრო კავშირს ჰგრძნობთ მცხოვრებლებთან, საფუძველი ჩაუყარეთ ახალ სახალხო უფლებას და წესწყობილებას.

თქვენ თავგანწირულნო მებრძოლნო, რომელთაც თქვენის მხრებით გაიტანეთ მძიმე შრომა, ამიერ-კავკასიის მთავრობის სსსელით მოგიძღვნით მადლობას.

სამშობლო არ დაივიწყებს მძიმე წუთებში თქვენ მიერ აღმოჩენილ სიკეთეს.

სამხედრო და საზღვაო სამინისტროს საქმეთა კომისარი **ვლ. გობეჩია.**

## დავეხმაროთ სამშობლოს.

სამშობლოს მარტო გარეშე მტერი არ ემუქრება, შინაური უწესოებაც არ აყრის მას კაი დღეს. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები უცნაურ მოთხოვნილებას უყენებენ თავის შინ დახვედრილ მეზობლებს. ჩვენ, ოთხი წელიწადია, რაც ომში ვიყავით, ათას გვარი ტანჯვა წვალება გადავიტანეთო და თქვენ კი ამ დროს თავისუფლად შინ იჯექით და სიმდიდრეს იძენდითო, ეხლა ჩვენ და ჩვენ ცოლშვილს პური და ღვინო არა გვაქვს და თქვენ უნდა მოგვცეთო. ასეთ უცნაურ მოთხოვნას მუქარაც თან დასდევს. ან კი რატომ არ დაემუქრება თოფი და ტყვია მზათ აქვს და ამისთვის შორს წასვლა არ დასჭირდება. ალაგ ალაგ ასეთი მოთხოვნით ხალხი ისეა დამფრთხალი, რომ თავის სარჩო საბადებელი სოროებში მიმალეს და თაგვების საზრდოთ გახადეს. ეს გარემოება სოფლად კი დიდ უბედურებას ბადებს. აქვს თუ არა სოფელს სიმინდი, ყველა ერთ ხმაზე გაკივის, არიქა გვიშველეთ შიმშილით ვიხოცებითო. ამ საერთო ძალებში ძნელი გამოსაცნობია ვის აქვს საზრდო და ვის არა. ამგვარი არევ-დარევით სოფლის ჩარჩი წურბლები სარგებლობენ, მალულად ყიდულობენ სიმინდს და მერე ერთი ათად მეტად ყიდიან. შვიდ ბათმან სიმინდში (ქვემო იმერეთში ბათმანი ოცი გირვანქაა) ერთმა საწყალმა ქვრივმა დედაკაცმა ერთ სოფლის ჩარჩს ათი თუმანი მისცა. ეს სიმინდი რომ ნამალევათ საყიდელი არ ჰქონებოდა ამ საწყალ დედაკაცს სულ ბევრი შვიდ ბათმანში შვიდი თუმნის მეტს მაინც არ მისცემდა. ზემო იმერეთში ეს საქმე უფრო რიგიანად არის დაყენებული. აქ, ასეა თუ ისე, ადგილობრივმა მთავრობამ მოაწესრიგა სიმიდის მაზანდა და დამალვაც აკრძალულია და ქვემო იმერეთში კი, სამწუხაროთ, ამას ვერ ხედავთ. ქ. ქუთაისში წუთებით იზრდება სიმინდის მაზანდა, მალე ფუთი ფქვილი ხუთ თუმანზე შევა. ათას გვარი, მთავრობა უყურებს ჩარჩების ამ ოინებს და ყურებს არ იბერტყავს, ვითომც აქ არაფერიაო. ხალხს კანონიერება და სამართალი სურს და ამის მიმცემი არა სჩანს. მოთმინების ფიალა აივსო. დროზე დაეხმარეთ ხალხს თუ კატასტროფის თავიდან აცდენა გსურთ. მიხედეთ სამშობლოს და უშველეთ მას.

**მ. ბუაჩიძე.**

## პ ა ს უ ხ ი.

**ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.**

(გაგრძელება იხ. „ჩვენი ქვეყანა" № 44)

4. გვამტყუნებენ ვითომდა სამართალში არ გავყევით. ამაზე ნათქვამია ჩემს პირველ წერილში, მაგრამ ეხლა გამგეობა თარიღებს გამოკიდებია და „გულმავიწყობასაც" მწამებს, თან დამცინის სიცრუეს ვერა გკადრებო:

მე რომ სიცრუე მნდომოდა, ხომ შემეძლო დამეწერა 18-ს კი არა 25 ან 30-ს მივიღე-მეთქი, ერთის სიტყვით გამეწია ვადა მიღებისა, მაგრამ კარგათ ვიცოდი რასაც ვწერდი და არც გულმავიწყობით მომსვლია რამე, უფრო დაწვრილებით საქმე ასეა:

18-ს მივიღე წერილი სწორედ იმ დროს, როდესაც სამსახური გამითავდა და წერილი არ წამიკითხავს. მეც მივმართე საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს ე. ი. ორ წევრს ტ. აბაშიძეს და ვ. შალიკაშვილს მხოლოდ თქვენი ქაღალდი არც იქ განგვიხილავს და დავადგინედ საბჭოს მორიგ კრებაზე განგვეხილა. მათთვე ვაჩვენე ივ. ბარველის მიერ გამოგზავნილი დეპეშა, რომლის შინაარსზე პასუხი გამოვგზავნეთ კიდეც, მაგრამ იქ არც ჰო და არც უარი სამართალში გამოსვლაზე არ შემოგვითვლია, რადგან საბჭოს აზრი უნდა გვცოდნოდა და ეს კი არ ესწრებოდა. ჩვენი დეპეშა კი 19 ს მიუღიათ ქუთაისში და სწორედ 19—ს სავე მოვიდა ჩემთან უკვე ავადმყოფსა და ლოგინათ მწოლარესთან ქუთათურ ამხ.—ს მიერ წარმოგზავნილი ბ. ფრონის—პირელი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენი პასუხი ქუთათურებს არ ჰქონდათ მისობას მიღებული. მე გადავეცი, რომ დეპეშა გაგზავნილი იყო და ჩვენაც ე. ი. საბჭო გამგეობის მიერ გამოგზავნილ ქაღალდს განვიხილავდით და ჩვენს პასუხს ვაცნობებდით. ფრონისპირელმავე დაადასტურა გამგეობის სურვილი სამართალში გასვლისა და მეც პირადათ მაშინვე განვაცხადე, რომ იმედი მაქვს საბჭო გაყვება სამართალში გამგეობას, რადგან ჩვენ ჩვენი თავი მართლები გვგონია და სიმართლეს არ გავექცევით-მეთქი, მხოლოდ წევრთა სამსახური დასში მანამდე სანამ საქმე არ გარჩეულა, მეც შეუძლებლათ მიმაჩნია მეთქი და ჩვენ სწორედ ლოღიკურათ მოვიქეცით, რომ წევრები დავითხოვეთ.

და მართლა უმისოთ რა ფასი ექმნებოდა ჩვენ წევრების დასში დარჩენას? რომელი მუშაა, რომ გაფიცვას აცხადებს, საქმე ვთქვათ გასარჩევათ იყოს გადაცემული მანამ მაინც ძველ პირობებში იმუშავებს? ან და ჩემზე უკეთ ქუთაისის გამგეობას უნდა მოეხსენებოდეს, რადგან მათ შორის უთუოდ იურისტებიც მოიძებნებიან, რომ უფრო ხშირად, როდესაც რომელიმე მამულზე დავა ატყდება, ის მამული დაუმუშავებელი რჩება ორივ მხრის მიერ და არც ერთი პრეტენდენტი იმ ადგილს არ ეკარება.

ჩვენც ასე უნდა მოქცეულვიყავით და ასეც მოვიქეცით. მუშაობა დავატოვებინეთ წევრებს, მხოლოდ სამართალზე უარი არ გვითქვამს და, როგორც ზევით მოგვიხსენიეთ, ეხლაც მზათა ვართ ამაზე საბჭოს დეკემბრის 22-ს კრება ჰქონდა და დაადგინა უკეთუ ქუთ. გამგეობა დაბეჯითებით მოითხოვს სამართალს კავშირის საბჭო თანახმა იქმნებაო.

მართალია ეს ჩვენი რეზოლიუცია ოფიციალურად ჯერ აქამომდე არ გაგვიგზავნია ქუთ. დრ. საზ. ს გამგეობისათვის, მაგრამ ეს იმის მიზეზია, რომ ჩვენი საქმე საპოლემიკოთ გახდა და აქედანაც გაიგო გამგეობამ ჩვენი პასუხი.

გვიკიჟინებენ, რომ სეზონის საქმე შეაფერხეთ და ქუთ. საზოგადოების წინაშე დიდი დანაშაული ჩაიდინეთო. საზ. ს სამსახური, რომ ქართველ მსახიობს არ ეზარება ეს აქსიომაა, მაგრამ თუ ეხლა ესე მოვიქეცით არა იმისთვის, რომ საზ-ბა დაგვეღალატებინა, არამედ იმიტომ რომ გაეგო სწორედ ამ საზ-ს, რომ ჩვენც გვსურს საკუთარ ფეხზე დადგომა, თავის თავის გაძღოლა და რომ ჩვენს უფლებებს ვერავის ვერ დავაჩაგვრინებთ. ასე რომ ვინ უფრო დაადალატა საზ-ბა ამას თვით საზ-ბა სიმართლის გაგების შემდეგ კარგათ მიხვდება და თუ ეხლა აქეთ გვიკიჟინებთ, ეს ბრალდება შეიძლება შეტრიალდეს.

ეხლა ეპიზოდიური მხარეები.

წესდება დაუმტკიცებელი გამოგვიგზავნეთო, შიგ ბევრია შესწორებული ადგილებიო. სიმართლეა, მაგრამ აკი 11 ნოემბრის წერილში გატყობინებდით—გვიგზავნით პირს ჩვენი წესდებისას, რადგან წესდება არც ერთ ენაზე დაბეჭდილი არა გვაქვსთქო. ხოლო შესწორებებიც სწორეთ იმიტომ იყო, რომ შედარებული იყო ნამდვილ დედანთან და იმის თანახმად გასწორებული. დამტკიცებული დედანი კი ერთად ერთი გვაქვს და ნურას უკაცრავათ თ-უ ის ვერ მოგართვით. თუ გულწრფელად გსურდათ საქმის გაცნობა იმ გადანაწერიდანაც შეიძლებოდა, მაგრამ ესეც ხომ მომიზეზებაა. აქაც თურმე ბეჭედ-დაკრული და დანომრილი უნდა მიგვეროთმია.

ერთ ადგილას ბრძანებენ „ყველა მათი პროექტები მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი ზეპირი ვარაუდი იყო, რადგანაც მათ მიერ „შედგენილ დასში" მოთავსებულ მრავალ მსახიობთაგან თანახმობაც არ ქონდათ კავშირის განკარგულებით ამა თუ იმ ქალაქში სამსახურისა (მაგ. ზარდალიშვილისაგან, ქიქოძისაგან და სხვა).

პასუხი: ჩვენს წესდებაში არის ესეთი. მუხლი. § 27 „ყოველი პროფესიონალი წევრი ითვლება კავშირის დასებში მომუშავეთ და სხვა", მაშასადამე კავშირის საბჭოსათვის სავალდებულო არ არის წევრი მსახიობის თანხმობა. მას შეუძლიან წევრი მსახიობი დაუკითხავად დანიშნოს რომელიმე სეზონში. წევრი პროფესიონალურ ჩვენი წესდების თანხმად უნდა ემორჩილებოდეს საბჭოს დადგენილებებს. თქვენ შეგეძლოთ ამაზე [illegible] რომ ეს მუხლი სასტიკი შეუფერებელი ან სხვა რამ, მაგრამ სანამ ეს მუხლი ამ რედაქციით [illegible] ემყარება და მაშასადამე საბჭოს შეუძლია [illegible] უდევ[illegible].

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭოს მონდობილებით, თავმჯდომარის აღმასრულებელი **შალვა დადიანი.**

(დასასრული იქნება.)

## წერილი რედაქციის მიმართ.

**მოქალაქე რედაქტორო!**

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ბ. არსენ იაკობის ძე ელიგულაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ შემოსწირა 400 მანეთი მისი განსვენებული მეუღლის ხსოვნის აღსანიშნავად.

ინსპექტორი **კ. გაბარაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

## საჭირო ცნობები.

**სია და მისამართი უმთავრეს დაწესებულებათა ქ. ქუთაისში.**

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ერთობისა და სობოროს ქუჩების კუთხეში—რიჟინაშვილის სახლში.

—

ქალაქის სასურსათო კომიტეტი—ამავე სადგომში.

—

საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი—ვორონცოვის ქუჩაზე —ოცხელის სახლში.

—

საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტი—იქვე.

—

საგუბერნიო სამართველო—იქვე.

—

ქუთათელი მიტროპოლიტის საბჭო—არქიელის გორა—საკუთარი სახლი.

—

გუბერნიის კომისარის სამმართველო—რესპუბლიკის ქუჩა — ოლდენბურგის სახლი.

—

ამიერ კავკასიის კოოპერატივთა ქუთაისის განყოფილება—თბილისის ქუჩა—ბოკერიას სახლი.

—

ქალაქის თვითმართველობა—მიხეილის ქუჩა—ქალაქის სახლი.

—

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი—კაზაკოვის ქუჩა—ბოლქვაძის სახლი.

—

მაზრის კომისარის სამმართველო—იქვე.

## მატარებლების მიმოსვლა.

15 იანვრიდან 1918 წ.

ნაჩვენებია ადგილობრივი ახალი დრო.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 5 ს. 50 წ. |
| „ | — საღამ. — | 9 ს. 50 „ |
| ბათომიდან და თბილისიდან | | |
| | დღისით — | 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 10 „ |
| „ | — დღის — | 12 ს. 55 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ და ბათომისაკენ | | |
| | დილის | 8 ს. 40 წ. |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — დღისით — | 1 ს. 40 „ |
| ,, | — საღამოს — | 7 ს. 1 ,, |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| თბილისისაკენ პირდაპირ | საღამოს | 10 ს. |
| ტყიბულს | — დღისით — | 2 ს. 37 „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა